

IV თავი

სტუდენტის სწავლის საფასურთან დაკავშირებული შედეგები და დაფინანსება ბსუ-ს ბიუჯეტიდან

ბსუ-ში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესით“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3).

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საფასურის ფარგლებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები) მხოლოდ უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. ბრძანება გამოიცემა სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შედეგები, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (დაფინანსების/შედეგების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და განხორციელების წესს) შეიმუშავენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შედეგები ასევე ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრებზე (მეუღლე, შვილი). სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავროსამაგისტრო/სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე) სწავლის თანადაფინანსება შეიძლება განხორციელდეს ბსუ-ში გადასახდელი სწავლის წლიური საფასურის 30 %-ის ოდენობით, ამ კატეგორიის სტუდენტის მიერ პირველ სემესტრში წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა) საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის

ხელმძღვანელის ბრძანებით. (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N07-01/95 გადაწყვეტილებით)

სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ბრძანება გამოიცემა, თუკი სტუდენტების დაფინანსების ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილი სწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს, ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს.